დანართი N1

„დამტკიცებულია“

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის
2020 წლის 24. 02. N 04-64 ბრძანებით

ცვლ. 2021 წლის 26.02. N 04-28 ბრძანება

„შეთანხმებულია“

სსიპ -კოლეჯის „მერმისი“ სამეთვალყურეო საბჭოს
2020 წლის 24.02. N 2 სხდომის ოქმით

ცვლ. 2021 წლის 26.02. N 2 სხდომის ოქმი

სსიპ კოლეჯი „მერმისი“

სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020 – 2026 წწ.

არსებული ვითარების ზოგადი მიმოხილვა

სსიპ პროფესიულმა კოლეჯმა „მერმისი“ 2012 წელს განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ ფუნქციონირება დაიწყო ახალ რეაბილიტირებულ შენობაში ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მის.: გურამიშვილის გამზ. 72ბ (ამჟამად დ. გურამიშვილის ჩიხი 9ა). 2014 წელს კოლეჯმა მოიპოვა საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი, გაიარა ავტორიზაცია 5 წლის ვადით და მოიპოვა 34 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეფორმების კვალდაკვალ კოლეჯი ჩაერთო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის პროცესში და ეტაპობრივად დაიმატა 22 მოდულური (მათ შორის 1 დუალური მიდგომით განსახორციელებელი) პროგრამა: 2015 წელს - 10, 2016 – 5, 2017 წელს - 4, 2018 წელს - 3. კოლეჯში ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის ფარგლებში უზრუნველყოფილია ყველასათვის ხელმისაწვდომი უნივერსალური დიზაინის გარემო. კოლეჯის ინფრასტრუქტურა მოწყობილია თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

მიუხედავად არსებობის ხანმოკლე ისტორიისა კოლეჯმა „მერმისი“ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში და წარმოადგენს სისტემის ერთ-ერთ წამყვან დაწესებულებას. 2018 წელს კოლეჯი "მერმისი" გახდა კონკურსის „პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2018“ გამარჯვებული ნომინაციაში - წლის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. 2018 წელს სსიპ

სოციალური მომსახურების სააგენტოს და დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის მიერ კოლეჯი დაჯილდოვდა „2018 წლის საუკეთესო პარტნიორის“ ტიტულით.
2019 წლისათვის კოლეჯი მოსახლეობას სთავაზობდა აგრარული, ბიზნესის ადმინისტრირების, ინჟინერიის, ხელოვნებისა და დარგთაშორისი მიმართულების 37 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას (საგნობრივი, მოდულური) და 40 ტრენინგ-კურსს (მოკლევადიანი პროგრამა). 2019 წელს კოლეჯმა გაიარა ხელახალი ავტორიზაცია 6 წლის ვადით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ 18 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ასევე, 2019 წელს კოლეჯმა დადასტურების გზით მოიპოვა 6 პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება.

2019 წლის კოლეჯი "მერმისი" გახდა კონკურსის „პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2019“ გამარჯვებული ნომინაციაში - წლის საუკეთესო პროფესიული სტუდენტი.

2020 წელს ავტორიზაციის ახალი სტანდარტების ძალაში შესვლამ, კოლეჯის მიერ შევსებული თვითშეფასების შესწავლისას ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებამ, ასევე, კოლეჯის მისწრაფებამ გააფართოვოს განასახორციელებელი პროგრამების სპექტრი, გააჩინა სტარტეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის საჭიროება.

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა არის ინსტრუმენტი, რომელიც კოლეჯს მისცემს საშუალებას დასახული მიზნების მისაღწევი გზა გაიაროს წარმატებულად, თავისი მისიის, ხედვის და ღირებულებების შესაბამისად.

კოლეჯის მისიაა:

ხელოვნების, ბიზნესისა და ადმინისტრირების, ინჟინერის, წარმოებისა და მშენებლობის, ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიების, სოფლის მეურნეობის, მომსახურებების სფეროების პროგრამებით წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაში ადგილობრივი და ევროპული შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური და სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების გზით, სოციალური ინკლუზის ჩართულობით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით.

კოლეჯის სამი უმთავრესი ღირებულებაა:

- პროფესიონალიზმი, ხარისხის მაღალი სტანდარტი და ინოვაციისაკენ სწრაფვა
- გუნდური მუშაობა
- სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა

კოლეჯის ხედვა:

2030 წლისთვის ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის დაკვეთის შესაბამისად სტუდენტის/მსმენელის საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებულ გარემოში პროფესიული უნარებისა და აზროვნების განვითარება.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- კოლეჯის რეპუტაცია და პრესტიჟი
- შრომის ბაზარის მოთხოვნაზე ორიენტირებული ტურიზმის, ბიზნესის ადმინისტრირების, ინჟინერიის, ხელოვნების და სხვა დარგების პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამები
- მოსახლეობის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა ტრენინგ-კურსების ფართო სპექტრით
- თანამედროვე ინფრასტრუქტურა და ინოვაციებისადმი სწრაფვა
- ყველასათვის ხელმისაწვდომი უნივერსალური დიზაინით მოწყობილი უსაფრთხო გარემო
- სწორი მენეჯმენტი
- გამოცდილი ადამიანური რესურსი
- ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა
- არსებულ გამოწვევებზე მოქნილი რეაგირება

სუსტი მხარეები:

- მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნად პროფესიებზე ადგილების სიმცირე
- ახალგაზრდა კადრების სიმცირე
- განთესვის მაღალი მაჩვენებელი
- საერთო საცხოვრებლის არქონა
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სხვ. სტუდენტური ღონისძიებების სიმცირე

შესაძლებლობები:

- ცვლილებები პროფესიული განათლების სისტემაში;

- სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართვა;
- ევროპული განათლების გამოცდილების გაზიარება;
- პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა;
- მოსახლეობის მხრიდან დასაქმებად პროფესიებზე მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების მიღება;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება და საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრა;
- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის მიღების შესაძლებლობა;
- განსახორციელებელი პროგრამების სპექტრის გამრავალფეროვნება (მომსახურებები, სოფლის მეურნეობა და სხვ.)

საფრთხეები:

- პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობა
- კონკურენცია სხვა საჯარო და კერძო სასწავლებლების მხრიდან, ადგილმდებარეობის გათვალისწინებით
- მიღების წესის მოუქნელობა
- დამსაქმებლების ინერტულობა
- პროფესიაში ახლად შემოსული მასწავლებელი
- ფორს-მაჟორი სიტუაციები (პანდემია და სხვ.)

სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020 – 2026წწ.

სტრატეგიული მიზანი	მიზნის მიღწევის ინდიკატორი	საჭირო მონაცემები	ანგარიშგების პერიოდი და ფორმა	შენიშვნა
მიზანი №1. **2027 წლის 1 იანვრისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული**	**ინდიკატორი №1 – 2021-2025 წლებში დამატებული და განხორციელებული სამუშაოზე დაფუძნებული, „დუალური“**	ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება და ოქმი, დამატებულ მოდულურ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები პროგრამების მიხედვით, სტუდენტთა რეგისტრაციის მონაცემთა ბაზები, ბრძანება სტუდენტთა	ყოველწლიური ანგარიში	

საგანმანათლებლო პროგრამების და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების განვითარება და ინტერნაციონალიზაცია	პროგრამები მომსახურებებისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში	ჩარიცხვის შესახებ		
	ინდიკატორი №2 – 2021-2026 წლებში შემუშავებული და განხორციელებული მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები და ტრენინგ-კურსები სხვადასხვა პროექტების ფარგლებში	ბრძანება მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების დამტკიცების შესახებ, დამტკიცებული მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები, ბრძანება მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამებზე მსმენელების ჩარიცხვის შესახებ		
	ინდიკატორი №3 – 2021-2025 წლებში დამატებული და განხორციელებული ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება და ოქმი, დამატებულ მოდულურ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები პროგრამების მიხედვით, სტუდენტთა რეგისტრაციის მონაცემთა ბაზები, ბრძანება სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ		
	ინდიკატორი №4 – 2021-2026 წლებში განხორციელებული არაფორმალური განათლების აღიარება	არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურის დამადასტურებელი დოკუმენტები		
	ინდიკატორი №5 – 2024-2026 წლებში დამატებული და განხორციელებული მოკლე ციკლის საბაკალავრო პროგრამები	ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება და ოქმი, დამატებულ მოდულურ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები პროგრამების მიხედვით, სტუდენტთა რეგისტრაციის მონაცემთა ბაზები, ბრძანება სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ		
	ინდიკატორი №6 - გაუმჯობესებულია ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროგრამების და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების ხარისხი	ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაცია, მეცადინეობებზე დასწრების ოქმები, გამოკითხვების ანალიზი და შეფასება, ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიში, გაფორმებული მემორანდუმები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ევროპული პროფესიული განათლების დაწესებულებებთან, კოლეჯის დირექტორის ბრძანებები თანამშრომელთა (მასწავლებელი, ადმინისტრაცია) და სტუდენტთა სტაჟირების შესახებ, წერილები, მოწვევები, სერტიფიკატები		

		სტაჟირების შესახებ, ფოტომასალა		
მიზანი №2. 2027 წლის 1 იანვრისათვის კოლეჯის პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მხარდამჭერი ღონისძიებების განვითარება	ინდიკატორი №1 - პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა გაუმჯობესებულია	შინაგანაწესი, მარეგულირებელი წესები, შეფასების სისტემა, სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ფორმალური განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტები.	ყოველწლიური ანგარიში	
	ინდიკატორი №2 - გაუმჯობესებულია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მხარდაჭერის მომსახურება	სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები, შეფასების სისტემა, სტუდენტებთან გაფორმებული ხელშკრულებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ფორმალური განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტები.		
	ინდიკატორი №3 - სტუდენტთა/მსმენელთა კარიერული მომსახურება გაუმჯობესებულია	ოქმები დაგეგმილი ან განხორციელებული საკონსულტაციო და მხარდამჭერი მომსახურების შესახებ, საინფორმაციო შეხვედრებზე დასწრების ფურცლები, პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარი და შედეგები, ანგარიშები დაგეგმილი/ განხორციელებული სტუდენტური ინიციატივების/აქტივობების/ პროექტების შესახებ, ფორმალური განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტები.		
მიზანი №3. 2027 წლის 1 იანვრისათვის კოლეჯის ადამიანური რესურსის განვითარება	ინდიკატორი №1 - 2021-2026 წწ. კოლეჯის ყველა მასწავლებელი გადამზადებულია მათი საჭიროებების გათვალისწინებით	საჭიროებების კვლევა, გავლილი პროგრამები, ტრენინგზე დასწრების ფურცელები, გაცემული სერტიფიკატები და ცნობები, საზღვარგარეთ სტაჟირებული მასწავლებლები	ყოველწლიური ანგარიში	
	ინდიკატორი №2 - კოლეჯის ყველა თანამშრომელს გავლილი აქვს სხვადასხვა ტრენინგები, მათ შორის ერთ-ერთ უცხოურ ენაში (რუსული, ინგლისური)	ტრენინგზე დასწრების ფურცელები, გაცემული სერტიფიკატები და ცნობები, საზღვარგარეთ სტაჟირებული პერსონალი		

	ინდიკატორი №3 - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა განვითარებულია	ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაცია, გამოკითხვების ანალიზი და შეფასება, მეცადინეობებზე დასწრების ოქმები, რეკომენდაციები, ანგარიშები		
მიზანი №4. 2027 წლის 1 იანვრისათვის კოლეჯის მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსის განვითარება	ინდიკატორი №1 - კოლეჯის ყველა მოქმედი პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით, ინფრასტრუქტურით და შესაბამისი აღჭურვილობით	უძრავი ქონების საკუთრების ან მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი; მოძრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები; დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია; სასწავლო პროცესის მასალებით/ ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების რეგულაცია; სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის რეგულაცია; ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია; ინვენტარის აღწერა/ განახლება/შეკეთების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; დაწესებულების მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები და განვითარების გეგმა; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; სამკითხველო დარბაზის, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების, ელექტრონული მართვის მოქმედი სისტემისა და კატალოგის შემოწმების შედეგი; ხელშეკრულებები შესყიდვის შესახებ, ვიზუალური დათვალიერება, კოლეჯის საინვენტარო ნუსხა, წლიური ანგარიშები	ყოველწლიური ანგარიში	
	ინდიკატორი №2 - კოლეჯის ინფრასტრუქტურა განვითარებულია მომსახურებებისა და სოფლის	ხელშეკრულებები შესყიდვის შესახებ, ვიზუალური დათვალიერება, კოლეჯის საინვენტარო ნუსხა, წლიური ანგარიშები, კოლეჯის ბალანსზე რიცხული სარაჯიშვილის		

	მეურნეობის სფეროების პროგრამების შესაბამისად	ქ. №108-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი, შენობის ექსპლოატაციაში მიღების აქტი		
	ინდიკატორი №3 - კოლეჯში პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უსაფრთხოების დაცვა გაუმჯობესებულია	პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმების მოქმედების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინცინდენტების აღრიცხვის ჟურნალი; პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა; პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა და სამკურნალო საშუალებები; საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ; დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში- გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე; ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან/ ორგანიზაციასთან;		
	ინდიკატორი №4 - კოლეჯის საქმისწარმოება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები; ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი); IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი; ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება; უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი; დაწესებულების დომენით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის		

		მისამართების შემოწმების შედეგი; ელ.ფოსტის ერთიანი ჯგუფი პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის და/ან სხვა ელექტრონული სისტემა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი; პსდ-ს სერვისებისათვის გამიზნული, ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის არსებობისა და პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი. საქმისწარმოების წესი; პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები; საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (პროგრამული უზრუნველყოფა); მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია, გაგზავნილი ანგარიშები		
	ინდიკატორი №5 - კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელების შესაბამისია	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები; ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი); IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი; ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება; უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი; დაწესებულების დომეინით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი; ელ-ფოსტის ერთიანი ჯგუფი პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის და/ან სხვა ელექტრონული სისტემა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი; პსდ-ს სერვისებისათვის გამიზნული, ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის არსებობისა და პროფესიული		

		სტუდენტების და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი		
	ინდიკატორი №6 - კოლეჯის ფინანსური მდგრადობა გაუმჯობესებულია	კოლეჯის თვითშეფასების განაცხადით წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი; სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები		